

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ემბავუდ ჯორჯია

2023 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	11
2 შედგენის საფუძველი	12
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	12
2.2 მომზადების საფუძველი	12
2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	12
2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება	12
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	12
3.1 უცხოური ვალუტა	12
3.2 ძირითადი საშუალებები	13
3.3 ძირითადი საშუალებების გაუფასურება	13
3.4 იჯარა	14
3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14
3.6 ფინანსური ინსტრუმენტები	14
3.7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	15
3.8 კაპიტალი	15
3.9 ანარიცხები	15
3.10 მოგების გადასახადი	16
3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	16
3.12 შემოსავალი	17
4 ძირითადი საშუალებები	18
5 მარაგები	19
6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
7 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	20
8 კაპიტალი	20
8.1 საწესდებო კაპიტალი	20
9.2 დივიდენდები	21
9 სესხები	21
10 იჯარა	22
11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
12 შემოსავალი	24
13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	24

14	ფინანსური შემოსავლები და ხარჯები	24
15	მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	24
16	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25
17	მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები	25
17.1	მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები	25
17.2	სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული დაშვებები	25
18	ფინანსური ინსტრუმენტები	26
18.1	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	26
18.2	ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	26
19	ფინანსური რისკის მართვა	26
20	კაპიტალის რისკის მართვა	29
21	გაუთვალისწინებელი გარემოებები	30
21.1	დაზღვევა	30
21.2	გადასახადები	30
21.3	გარემოს დაცვა	30
22	ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება	31
23	დაკავშირებული მხარეები	31
23.1	საკონტროლო ურთიერთობები	31
23.2	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	32
23.3	ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან	32
	მმართველობის ანგარიშგება	35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანთ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს ემბავუდ ჯორჯიას დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ემბავუდ ჯორჯიას (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო ზომის საწარმოების („მსს ფასს“) შესაბამისად;

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე მომზადდა მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად;
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვანტანგ ცაბაძე

სარეგისტრაციო ნომერი : SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნტონ

თბილისი, საქართველო

22 ივლისი 2024



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	მენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,423,769	5,386,105
		3,423,769	5,386,105
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	6,366,239	7,426,969
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,483,576	980,028
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7	764,491	1,115,797
		8,614,306	9,522,794
სულ აქტივები		12,038,075	14,908,899
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები	8		
საწესდებო კაპიტალი		8,529,296	11,179,716
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(2,743,447)	(2,509,206)
		5,785,849	8,670,510
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	9	1,001,766	1,378,566
საიჯარო ვალდებულებები	10	584,248	912,937
		1,586,014	2,291,503
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	3,045,348	2,853,287
სესხები	9	1,117,182	676,970
საიჯარო ვალდებულებები	10	477,926	389,604
საგარანტიო ანარიცხები		25,756	27,025
		4,666,212	3,946,886
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12,038,075	14,908,899

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 22 ივლისის:

ელჩინ ბაბაშოვ
დირექტორი

ინარა მამედოვა
ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უზენაესი დონის დამოუკიდებელი შენიშვნებთან (11-32 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი		2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
	შენიშვნა		
შემოსავალი	12	17,918,050	13,040,031
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(9,948,788)	(8,839,494)
მთლიანი მოგება		7,969,262	4,200,537
სხვა შემოსავალი		355,782	154,529
ადმინისტრაციული ხარჯები			
ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი		(1,400,932)	(896,006)
ადმინისტრაციული ცვეთა		(50,597)	(68,035)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(954,414)	(810,187)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები		(2,405,943)	(1,774,228)
კომერციული ხარჯები			
რეკლამის, პიარის ხარჯები		(265,942)	(209,261)
გადაზიდვისა და ტრანსპორტირების ხარჯები		(142,016)	(243,640)
კომერციული პერსონალის ხელფასი		(2,536,939)	(1,833,874)
კომერციული ცვეთა		(601,752)	(525,522)
ქირავნობის კომერციული ხარჯები		(1,568,424)	(1,065,445)
ცვლილება საგარანტიო ანარიცხებში		(17,679)	(15,416)
სხვა კომერციული ხარჯები		(691,778)	(187,976)
სულ კომერციული ხარჯები		(5,824,530)	(4,081,134)
სხვა ხარჯები			
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(43,550)	1,108,741
	15		
ფინანსური ხარჯები	14	(460,893)	(485,061)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა		1,215,795	251,881
მარაგების გაუფასურებისა და ჩამოწერის ხარჯი		(724,810)	(734,976)
ინვესტიციის გაუფასურების ზარალი საიჯარო მოთხოვნაზე		-	(2,590)
საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი		3,276,839	(1,004,809)
სხვა ხარჯები		(203,361)	(44,197)
სულ სხვა ხარჯები		3,060,020	(911,011)
მთლიანი ხარჯები		(5,170,453)	(6,766,373)
წლის მოგება/(ზარალი) საშემოსავლო გადასახადამდე		3,154,591	(2,411,307)
მოგების გადასახადის ხარჯი/(ანაზღაურება)		-	(3,880)
წლის მოგება/(ზარალი)		3,154,591	(2,415,187)
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		-	-
პერიოდისთვის			
წლის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)		3,154,591	(2,415,187)

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-32 გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ღარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ (ზარალი)	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	11,179,716	(94,019)	11,085,697
წლის ზარალი	-	(2,415,187)	(2,415,187)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	11,179,716	(2,509,206)	8,670,510
წლის შემოსავალი	-	3,154,591	3,154,591
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	3,154,591	3,154,591
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(2,650,420)	-	(2,650,420)
დივიდენდის გაცემა	-	(3,388,832)	(3,388,832)
ტრანზაქციები მფლობელებთან	(2,650,420)	(3,388,832)	(6,039,252)
2023 წლის 31 დეკემბერი	8,529,296	(2,743,447)	5,785,849

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (11-32) გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი		2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
	მენიშვნა		
ფული საოპერაციო საქმიანობიდან			
მყიდველებისგან მიღებული ფული		21,502,464	18,153,891
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(11,207,213)	(8,979,014)
გადახდილი ხელფასები		(4,569,222)	(3,434,722)
იჯარისა და დაცვის ხარჯი		(65,572)	(89,983)
სხვა საქონელსა და მომსახურებაზე გადახდილი ფული		(205,616)	(490,063)
გადახდილი გადასახადები		(4,065,577)	(2,741,930)
		1,389,264	2,418,179
გადახდილი პროცენტები	22	(460,893)	(485,061)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		928,371	1,933,118
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფული		(15,000)	(72,322)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფული		-	4,250
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		(15,000)	(68,072)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების აღება		100,000	-
სესხის დაფარვა	22	(903,444)	(538,217)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	22	(413,810)	(437,769)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან		(1,217,254)	(975,986)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება		(303,883)	889,060
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		1,115,797	252,154
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა		(47,423)	(25,417)
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს		764,491	1,115,797

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული მენიშვნებთან (11-32) გვერდებზე) ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ემბავუდ ჯორჯია (შემდგომში “კომპანია”) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 1999 წლის 15 ნოემბრიდან. კომპანია ახორციელებს საქმიანობას შემდეგ მისამართზე: მარნეულის ქუჩა #37, თბილისი, საქართველო.

2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

აქციონერები:	წილი %
ელმად აბბასოვ (აზერბაიჯანის მოქალაქე)	100%

კომპანიის საქმიანობა მოიცავს ავეჯის წარმოებასა და გაყიდვას. კომპანიის გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება საქართველოს ფარგლებში, თუმცა კომპანიას ასევე თავისი საქონელი გააქვს ექსპორტზე. კომპანიას აქვს წარმოების ორი ობიექტი - თბილისისა და გარდაბანში.

თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2023 წელს არის 122 თანამშრომელი წარმოებაში და 335 თანამშრომელი კომპანიის მთლიან ჭრილში. (2022 წელი: 128 თანამშრომელი წარმოებაში და 279 თანამშრომელი კომპანიის მთლიან ჭრილში).

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

უკრაინაში 24 თებერვალს დაწყებული კონფლიქტი სწრაფად განვითარდა და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთელ მსოფლიოში. შეერთებულმა შტატებმა და ევროპის ქვეყნებმა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები დააწესეს. დასავლეთის ქვეყნები არსებული სანქციების, კიდევ უფრო გამკაცრებას განიხილავენ. შედეგებმა გამოიწვია გლობალური ინფლაციის ზრდა და ფინანსური ბაზრების შეფერხება.

უკრაინის კონფლიქტმა ათასობით რუსი და უკრაინელი საქართველოში გადმოსახლა. ეს მოიცავდა არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს, არამედ ბიზნესებს, რომლებიც დაარსდა და ფუნქციონირებს საქართველოში. ყოველივე ამის შედეგად გაიზარდა უცხოური ვალუტის შემოღინება ქართულ ბაზარზე, რამაც გამოიწვია ქართული ლარის მნიშვნელოვანი გამყარება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ამჟამინდელი ლიკვიდურობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისთვის. კომპანია რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში აპირებს გამოიყენოს შესაბამისი ლიკვიდურობის ინსტრუმენტები.

ამ მოვლენებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის მომავალ ოპერაციებსა და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრული შედეგების პროგნოზირება ამჟამად რთულია. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

ეს ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს ზემოაღნიშნულის პოტენციურ მომავალ გავლენას კომპანიის ოპერაციებზე.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2021 წლის 1 იანვარი. კომპანიამ თავისი პირველი ანგარიშგება მსს ფასს-ით მოამზადა სწორედ აღნიშნული თარიღით.

2.2 მომზადების საფუძველი

ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის საოპერაციო ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ვინაიდან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და საადრისებო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-16 შენიშვნაში.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9753 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი და ერთი ევრო 2.8844 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. იჯარით აღებული შენობები შედის კომპანიის აქტივებში, თუ ისინი აკმაყოფილებს ფინანსური იჯარის აღიარების კრიტერიუმებს. ასეთი აქტივები იცვითება მოსალოდნელი ექსპლუატაციის პერიოდზე ან იჯარის პერიოდზე, რომელიც უფრო მოკლე იქნება.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

შენობები	- 20 წელი
მანქანა-დანადგარები	- 8 წელი
საოფისე ინვენტარი და სხვა	- 8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 8 წელი

ვინაიდან შეუძლებელია მიწის სასრული გამოყენების ვადის დადგენა, შესაბამისი საბალანსო ღირებულებაც ცვეთას არ ექვემდებარება.

3.3 ძირითადი საშუალებების გაუფასურება

აქტივები, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასარგებლო ვადა, არ ექვემდებარება ამორტიზაციას და ყოველწლიურად შემოწმდება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას, გადაიხედება გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი თანხა არის უდიდესი წმინდა გასაყიდი ფასისა და გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ოდენობით, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი განიხილება, როგორც გადაფასების შემცირება.

როცა გაუფასურების ზარალის ანუღირება ხდება, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანუღირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს

აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანუღირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.4 იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარა, რომელშიც არსებითად ყველა რისკი და ეკონომიკური სარგებელი ეკუთვნის მეიჯარეს, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის დროს განხორციელებული გადახდები (გამქირავებლისგან მიღებული წახალისების გარეშე) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი დარიცხვის მეთოდით იჯარის პერიოდისათვის.

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური, თუ არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადადის კომპანიის საკუთრებაში. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე, იჯარით გაცემული ქონების სამართლიან ღირებულებასა და იჯარის მინიმალური გადახდების დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. შესაბამისი ღირებულება აღიარდება როგორც ფინანსური საიჯარო ვალდებულება.

ცვთის მეთოდები და ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეესაბამება იმ მეთოდებს რაც გამოიყენება შესაძარის აქტივებზე, რომლებიც იურიდიულად არის კომპანიის საკუთრებაში. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულებები მცირდება იჯარის გადახდებსა და ფინანსურ ხარჯებს შორის სხვაობით, რომლებიც ხარჯში აღიარდება, როგორც ფინანსური ხარჯის ნაწილი.

საიჯარო გადასახადების საპროცენტო ნაწილი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რათა წარმოდგენდეს დარჩენილი კაპიტალის ნაშთის მუდმივ ნაწილს, და ირიცხება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში.

კომპანია როგორც მეიჯარე

როგორც მეიჯარე, კომპანია ახდენს თავისი იჯარის კლასიფიცირებას საოპერაციო და ფინანსურ იჯარად.

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასად (ეს მოიცავს გარიგების ღირებულებას, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისა, რომელიც აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახვით). ხოლო თუ შეთანხმება მოიცავს ფინანსურ ოპერაციას, მაშინ ის აღიარდება მომავალი გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

პირველადი აღიარების შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე, ხოლო დებიტორული დავალიანება პროცენტს არ ითვალისწინებს. იქ, სადაც კრედიტი აჭარბებს ნორმალურ საკრედიტო

პირობებს, მოთხოვნები განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებების გადახედვა იმის დასადგენად, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებადი. თუ ასეა, გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, იჯარის ვალდებულებებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასად და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ისინი ნორმალურ საკრედიტო პირობებში არიან და პროცენტს არ ითვალისწინებენ.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასად (ანუ ბანკისათვის გადასახდელი ფულადი სახსრების ამჟამინდელი ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და შედის ფინანსურ ხარჯებში.

ფინანსური საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიამ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, ან ზღვრული სასესხო განაკვეთით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს: ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; გადახდებს, რომელიც წარმოიქმნება არჩევანის უფლებიდან რომლებიც გონივრულად განსახორციელებელია.

პირველადი შეფასების შემდგომ, ვალდებულება შემცირდება გადახდებით და გაიზრდება დარიცხული პროცენტებით. შემდგომ შეფასებებში ხდება გადაფასებებისა და მოდიფიკაციების, ან ფიქსირებულ გადახდებში მომხდარი არსებითი ცვლილებების ასახვა.

3.7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.8 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ) ხორციელდება კომპანიის აქციონერების მიერ.

დაგროვილი მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან აკუმულირებულ ზარალს.

ღივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.9 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული

ღირებულებით საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას და სადაც შესაფერისია, ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციალურ რისკებს.

მარაგების მოძველებასთან დაკავშირებული ანარიცხები

მარაგებთან დაკავშირებული ანარიცხები იქმნება ნელა მოძრავი მარაგებისთვის, რომელიც მოიცავს დამთავრებულ პროდუქტს, ნედლეულს და კომპონენტებს, რომლებიც მენეჯმენტის შეფასების მიხედვით, დიდი ალბათობით არ გამოიყენება წარმოების პროცესში თავისი სპეციფიკური ბუნების გამო, ან კომპანია აღარ აწარმოებს ისეთ პროდუქციას, რომელზეც საჭირო იქნება ეს კომპონენტი. მარაგებთან დაკავშირებული ანარიცხების საბალანსო ღირებულებების განსაზღვრა გულისხმობს ვარაუდის ჩამოყალიბებას გარკვეული პროდუქციის, კომპონენტის, სათადარიგო ნაწილების სამომავლო მოთხოვნებზე, რომელიც შეიძლება სწორი არ აღმოჩნდეს მომხმარებელთა დამოკიდებულების ცვლილების გამო ან თუ კომპანია გარკვეულ კომპონენტებს განსხვავებული გზით გამოიყენებს, ან დამთავრებული პროდუქციის გასაყიდი ფასები შეიცვლება.

საგარანტიო ანარიცხები

კომპანიას აქვს საგარანტიო პოლიტიკა, რომლის მიხედვით ის უზრუნველყოფს მყიდველებს გარკვეული სახის დაზიანებაზე შეკეთების ან შეცვლის მომსახურებით, შესყიდვიდან ორი წლის განმავლობაში. ანარიცხები არის დაკავშირებული გაურკვევლობასთან, რადგან კომპანიამ არ იცის რამდენი მყიდველი გამოიყენებს საგარანტიო უზრუნველყოფას. კომპანია საგარანტიო ანარიცხების მოცულობას განსაზღვრავს წარსული გამოცდილების და მომავალი მოლოდინების მიხედვით. ფაქტობრივ საგარანტიო ხარჯები შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისგან.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

საქართველოში მოქმედი დაბეგრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

2017 წელს და შემდგომში გადახდილი ნებისმიერი დივიდენდის გადასახადის გადახდისათვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, საგადასახადო კრედიტი ხელმისაწვდომია წინა მოდელის მიხედვით გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისთვის.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.12 შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს საქონლის გასაყიდად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას კომპანიის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვების/დამატებული ღირებულების გადასახადის, დეკლარაციების, ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც: შემოსავლის ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ; მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

კომპანია შემოსავლებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ფულადი ნაკადების ან შემოსავლებთან დაკავშირებული დარიცხული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, რაშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაცემული ფასდათმობები. კომპანია აწარმოებს და ყიდის ავეჯს საცალო ბაზარზე.

რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება იმ მომენტში, როდესაც კომპანია მიაწვდის ავეჯს მომხმარებელს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელ ი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება							
2023 წლის 1 იანვარი	691,145	7,440,967	9,802,321	866,683	400,584	4,296	19,205,996
შემოსვლა	-	1,323,437	-	17,426	-	341,338	1,682,201
გასვლა	-	(698,407)	(452,464)	(7,814)	(161,618)	(409)	(1,320,712)
შიდა მოძრაობა	-	-	27,759	26,148	254,499	(308,406)	-
2023 წლის 31 დეკემბერი	691,145	8,065,997	9,377,616	902,443	493,465	36,819	19,567,485
შემოსვლა	-	196,028	31,885	129,931	55,874	182,739	596,457
გასვლა	(381,356)	(1,632,032)	(962,110)	(15,170)	(37,595)	(148,400)	(3,176,663)
შიდა მოძრაობა	-	14,042	34,449	6,792	15,875	(71,158)	-
2023 წლის 31 დეკემბერი	309,789	6,644,035	8,481,840	1,023,996	527,619	-	16,987,279
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
2022 წლის 1 იანვარი	-	3,482,744	9,616,467	821,710	363,263	-	14,284,184
წლის ცვეთა	-	686,900	66,775	11,400	12,837	-	777,912
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	(299,569)	(445,380)	(7,130)	(128,637)	-	(880,716)
2022 წლის 31 დეკემბერი	-	3,870,075	9,237,862	825,980	247,463	-	14,181,380
წლის ცვეთა	-	690,776	34,581	45,100	54,649	-	825,106
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	(598,270)	(808,819)	(14,820)	(21,067)	-	(1,442,976)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	3,962,581	8,463,624	856,260	281,045	-	13,563,510
საბალანსო ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბერი	691,145	4,195,922	139,754	76,463	246,002	36,819	5,386,105
2023 წლის 31 დეკემბერი	309,789	2,681,454	18,216	167,736	246,574	-	3,423,769

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

2,462,169 ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის დატვირთულია იპოთეკით სესხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის. (31 დეკემბერი 2022: 4,132,315 ლარი). (იხილეთ შენიშვნა 9).

ცვთის ხარჯი განაწილებულია შემდეგნაირად:

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (იხ. შენიშვნა 13)	172,756	184,355
ადმინისტრაციული ხარჯები	50,597	68,035
კომერციული ხარჯები	601,752	525,522
	825,105	777,912

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში ჩართული აქტივები, იჯარით აღებული აქტივები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შენობები	961,602	1,253,792
	961,602	1,253,792

5 მარაგები

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული	2,811,084	3,076,102
მზა პროდუქცია	4,365,517	4,277,909
კომპონენტები და ნახევრფაბრიკატები	694,271	864,366
სათადარიგო ნაწილები	205,063	196,447
დაუმთავრებელი წარმოება	385,379	461,946
სამშენებლო მასალები	38,036	56,701
შესაფუთი მასალები	47,759	39,103
სხვა მარაგები	207,783	254,333
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(2,388,652)	(1,799,938)
	6,366,239	7,426,969

მარაგების გაუფასურების რეზერვი იქმნება ძნელად რეალიზებადი მარაგებისთვის, რომელთა ჩამონათვალშიც შედის როგორც ნედლეული და მაკომპლექტებელი ნაწილები, ისე მზა პროდუქცია, რომლებიც მენეჯმენტის მოსაზრებით, მათი ბუნებიდან გამომდინარე, წარმოებაში ნაკლებად გამოიყენება ან ავეჯი, რომელთა დასამზადებლადაც საჭიროა მოცემული მარაგები, აღარ იწარმოება საწარმოს მიერ. მარაგების გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების განსაზღვრა ეყრდნობა დაშვებებს მზა პროდუქტზე, მაკომპლექტებელ ნაწილებსა და დამოუკიდებელ ნაწილებზე არსებულ სამომავლო მოთხოვნაზე მომხმარებლის მხრიდან. შესაბამისად, რეალური მოთხოვნა მათზე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის არსებული შეფასებიდან მომხმარებლების გადაწყვეტილების ცვლილების პარალელურად.

ლარი	2023	2022
მარაგების გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	1,799,938	1,074,170
მარაგების გაუფასურების რეზერვი - აღდგენა	(263,202)	(84,990)
მარაგების გაუფასურების რეზერვი - აღიარება მიმდინარე წელს	851,916	810,758
მარაგების გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,388,652	1,799,938

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,218,421	4,090,000
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(441,880)	(3,718,718)
	776,541	371,282
არაფინანსური აქტივები		
ავანსები და წინასწარი გადახდები	707,035	608,746
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,483,576	980,028

სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვი, 2023 წლის 31 დეკემბრის საბოლოო ბალანსი, სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საწყის ბალანსთან მიმართებაში შემდეგნაირია:

ლარი	2023	2022
ზარალის რეზერვი წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,718,719	10,929,726
წლის განმავლობაში აღიარებული ზარალის რეზერვი	15,526	981,153
გამოყენებული და ამოტრიალებული ზარალის რეზერვი წლის	(3,292,365)	(8,192,161)
ზარალის რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	441,880	3,718,718

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

2023 წელს საშუალო საკრედიტო პერიოდი გაყიდვებისთვის 12 დღეა (2022: 25 დღე). სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

შესადარისი პერიოდებისთვის კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება შემოწმდა გაუფასურების ინდიკატორებთან მიმართებით. გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად წარმოიშვება ისეთ მომხმარებლებთან, ვინც ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19 (ა)-ში.

7 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში	34,856	-
საბანკო ანგარიშები	729,635	1,115,797
	764,491	1,115,797

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 19 (ა)-ში.

8 კაპიტალი

8.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. გამოცხადებული კაპიტალი მთლიანად არის განადგურებული. საწესდებო კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს პარტნიორთა გადაწყვეტილებით. პარტნიორთა კრებაზე შესაძლებელია გამოცხადდეს დივიდენდების გაცემა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

2023 წლის 25 იანვარს კომპანიის აქციონერმა, ბაშირ ისრაფილ ოდლი სულთანოვმა, თავისი 34%-იანი წილი გაცვალა უძრავ ქონებაზე, რომელიც წარმოადგენს მშს ემბავუდ ჯორჯიას საკუთრებაში ბათუმში არსებულ მიწას ფართობით 2101 კვ.მ. და შენობებს N01/ 2 - 2,091.10 კვ.მ. და N02/1 - 226.1 კვ.მ, რომლის საერთო ფართი 2 317 კვ.მ-ია.

უძრავი ქონება შეფასდა 1 000 000 აშშ დოლარად, 2,650,420 ლარის ექვივალენტი ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების დღეს ეროვნული ბანკის განაკვეთით. სულთანოვის 34%-იანი წილი კომპანიის საწესდებო კაპიტალში იყო 3 801 103 ლარი. სხვაობა სულთანოვის საკუთრებაში არსებულ 34%-იან წილსა და საწესდებო კაპიტალში წილის დათმობის საგნის ღირებულებას შორის, რომელიც შეადგენს 1,150,683 ლარს, ბაშირ ისრაფილ ოდლი სულთანოვმა გადასცა ელმად აბასოვს.

9.2 დივიდენდები

აქციონერთა საერთო კრებას უფლება აქვს გამოაცხადოს დივიდენდები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

2023 წელს კომპანიამ აქციონერს სულ 3 388 832 ლარის დივიდენდები გამოუცხადა. სამხსრივი ხელშეკრულების საფუძველზე გამოცხადებული დივიდენდის თანხა მთლიანად გაიქვითა მშს ემბავუდ აზერბაიჯანის ვადაგადაცილებულ სავაჭრო დებიტორულ დავალიანებასთან, რომელიც არის კომპანიის დაკავშირებული მხარე და იღებს ვალდებულებას, რომ დივიდენდს მშს ემბავუდ ჯორჯიას აქციონერს გადაუხდის მშს ემბავუდ აზერბაიჯანი.

9 სესხები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	851,544	676,970	618,524	1,378,566
არაუზრუნველყოფილი სესხები ემბა ტრეიდისგან	265,638	-	383,242	-
	1,117,182	676,970	1,001,766	1,378,566

საბანკო სესხები ლარში არის 1-დან 3 წლამდე ვადიანობის და აქვთ 11% მცოცავი განაკვეთი მიბმული ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე. (2022: 11% წლიური მცოცავი განაკვეთი).

ს.ს. “თიბისი” ბანკისგან მიღებული სესხები დენომინირებულია ლარში წლიური 4.5% + რეფინანსირების განაკვეთით და უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით.

მოცემული სესხის პირობები ითვალისწინებს შემდეგ ფინანსურ კოვენანტებს:

- ლიკვიდურობის კოეფიციენტი არ უნდა იყოს ნაკლები ვიდრე 2:1-თან
- ფინანსური ვალის თანაფარდობა EBITDA-სთან არაუმეტეს 2.5:1.0-თან.
- ვალის მომსახურების დაფარვის თანაფარდობა არანაკლებ 1.3:1.0-თან.

ანგარიშის თარიღისათვის კომპანია აკმაყოფილებს სამიდან ორ კოეფიციენტს: ფინანსური ვალის EBITDA-სთან თანაფარდობისა და ვალის დაფარვის კოეფიციენტების ხელშეკრულებით განსაზღვრულ დონეებს.

ს.ს. “პროკრედიტ” ბანკისგან მიღებული სესხი დენომინირებულია დოლარში წლიური 8% განაკვეთით და უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით. (იხილეთ შენიშვნა 4).

2023 წლის 13 ოქტომბერს კომპანიამ გააფორმა ახალი სასესხო ხელშეკრულება ს.ს. “პაშა” ბანკთან. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, სესხი დენომინირებულია ლარში წლიური 14% - იანი განაკვეთით და უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით. (იხილეთ შენიშვნა 4).

არაუზრუნველყოფილი სესხები შპს ემბა ტრეიდსგან

შპს „ემბავუდ ჯორჯიას“ თავისი საოპერაციო საქმიანობის განმავლობაში შპს „ემბა ტრეიდს“ მიმართ დაუგროვდა სავაჭრო ვალდებულება ჯამურად 965,268 ლარი. ამ ვალდებულების დასაფარად მხარეებმა 2023 წელს გააფორმეს სესხის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შპს „ემბავუდ ჯორჯია“ („მოვალე“) დათანხმდა შპს „ემბა ტრეიდს“ („კრედიტორი“) დავალიანების დაფარვას. წინასწარ განსაზღვრული დაფარვის გრაფიკით და შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასესხო დავალიანება შპს ემბა ტრეიდის მიმართ შეადგენს 648,880 ლარს.

სხვადასხვა ვალუტაში დენომინირებული სესხების, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკებისთვის იხილეთ შენიშვნა 18.2 (ა).

დამატებითი ინფორმაციისთვის კომპანიის საპროცენტო განაკვეთისა და უცხოური ვალუტის რისკების გავლენის შესახებ იხილეთ შენიშვნა 19 (ა).

10 იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	477,926	389,604
გრძელვადიანი	584,248	912,937
	1,062,174	1,302,541

კომპანიას იჯარით აქვს აღებული შენობები. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც საიჯარო აქტივი და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახდელები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ ექვემდებარება საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის თავდაპირველ შეფასებაში ჩართვას. კომპანია ახდენს საიჯარო აქტივების კლასიფიკაციას ძირითად საშუალებებად (იხ. შენიშვნა 4).

ყოველი იჯარა, როგორც წესი, აწესებს შეზღუდვას, რომ, თუ არ არსებობს კომპანიის სახელშეკრულებო უფლება, ქვეიჯარით გადასცეს აქტივი სხვა მხარეს, საიჯარო აქტივის გამოყენება შეუძლია მხოლოდ კომპანიას. იჯარა არის ან არაგაუქმებადი, ან მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საფასურის გადახდის შემთხვევაში. ყველა იჯარა შეიცავს იჯარის ვადის გაგრძელების უფლებას. კომპანიას ეკრძალება ძირითადი საიჯარო აქტივების გაყიდვა, ან მისი უზრუნველყოფად გამოყენება. შენობებისა და მიწის იჯარის პირობების გათვალისწინებით, კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს ეს ქონება კარგ მდგომარეობაში.

2023 წელს კომპანიამ გააფორმა 9 ახალი იჯარის ხელშეკრულება, საიდანაც ერთი კლასიფიცირებულია ფინანსურ

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია კომპანიის საიჯარო საქმიანობის ხასიათი საიჯარო აქტივის მიხედვით, რომელიც აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

იჯარით გაცემული აქტივების რაოდენობა	იჯარით გაცემული აქტივების რაოდენობა	საშუალო დარჩენილი იჯარის ვადა	იჯარების რაოდენობა ვადის გახანგრძლივების უფლებით	იჯარების რაოდენობა ვადის შეწყვეტის უფლებით
იჯარით გაცემული აქტივი	ა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი	იჯარის ვადა	იჯარის ვადა
შენობები-საცალო მაღაზიები	6	6-35 თვე	20 თვე	6

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

ლარი	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ერთ წლამდე		
საიჯარო გადახდები	601,994	556,307
ფინანსური ხარჯები	(124,068)	(166,703)
	<u>477,926</u>	<u>389,604</u>
ორიდან ხუთ წლამდე		
საიჯარო გადახდები	656,894	1,089,930
ფინანსური ხარჯები	(72,646)	(176,993)
	<u>584,248</u>	<u>912,937</u>
წმინდა მიმდინარე ღირებულება	<u>1,062,174</u>	<u>1,302,541</u>

დამატებითი ინფორმაცია საიჯარო აქტივის კლასიფიცირების შესახებ შემდეგია:

ლარი	2023 წლის დეკემბერი		
	თვითღირებულება (იხ. შენიშვნა 4)	ცვეთის ხარჯი	გაუფასურება
შენობა - საცალო მაღაზიები	2,025,178	474,176	-
იჯარით აღებული აქტივები სულ	<u>2,025,178</u>	<u>474,176</u>	<u>-</u>

ლარი	2022 წლის დეკემბერი		
	თვითღირებულება (იხ. შენიშვნა 4)	ცვეთის ხარჯი	გაუფასურება
შენობა - საცალო მაღაზიები	1,843,192	382,404	876,723
იჯარით აღებული აქტივები სულ	<u>1,843,192</u>	<u>382,404</u>	<u>876,723</u>

იჯარით აღებული აქტივები შედის ძირითადი საშუალებების იმავე ჯგუფში, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა შესაბამისი ძირითადი საშუალებები, თუ ის იქნებოდა კომპანიის მფლობელობაში.

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (იჯარისთვის, რომლის პერიოდი მოსალოდნელია 12 თვე, ან ნაკლები) და იჯარისთვის, რომელთან დაკავშირებულ აქტივსაც დაბალი ღირებულება აქვს. ამგვარ იჯარაზე გადახდილი თანხები აღიარდება წრფივი მეთოდით ხარჯებში.

ხარჯები, დაკავშირებული გადახდებთან, რომლებიც არ მოხვდა საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, შემდეგია:

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი იჯარა	1,446,116	700,605
იჯარა, დაბალი ღირებულების მქონდე აქტივით	117,599	10,200
	<u>1,563,715</u>	<u>710,805</u>

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	1,655,423	987,212
თანამშრომელთა სარგებელი	213,393	197,426
მიღებული ავანსები	811,913	1,576,110
საგადასახადო ვალდებულებები	364,619	76,960
გადასახდელი დივიდენდები	-	15,579
	3,045,348	2,853,287

საშუალო საკრედიტო პერიოდი საქონლის შესყიდვებზე არის 0.3 თვე (2022 0.5 თვე). სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანიას აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, იმაში დასარწმუნებლად, რომ ყველა ვალდებულება იხდება საკრედიტო დროის ჩარჩოში.

კომპანიის უცხოური ვალუტის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 19 (ა)-ში.

12 შემოსავალი

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ადგილობრივი გაყიდვები	17,721,153	13,030,209
ექსპორტი	196,897	9,822
	17,918,050	13,040,031

13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გამოყენებული მარაგები	7,535,663	6,747,674
თანამშრომელთა სარგებელი	2,066,446	1,728,725
ცვთის ხარჯი (იხ. შენიშვნა 4)	172,756	184,355
სხვა ხარჯები	173,923	178,740
	9,948,788	8,839,494

14 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები ბანკის სესხებზე	(287,726)	(371,009)
საპროცენტო ხარჯები საიჯარო დონისძიებებზე	(173,167)	(114,052)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(460,893)	(485,061)

15 მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით	776,659	3,422,520
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით	(733,109)	(4,531,261)
	43,550	(1,108,741)

16 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდში, არ გამოვლენილა მნიშვნელოვანი შემდგომი მოვლენები.

17 მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასების პროცესში და დაფუძნებულია ისტორიულ გამოცდილებაზე. ამასთან, გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავლის მოვლენები და მოლოდინები, რაც სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

17.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისგან.

მარაგები

მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე სანდო მტკიცებულებების გათვალისწინებით. აღნიშნული მარაგების სამომავლო რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიამ ან სხვა ბაზრის ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი გაყიდვის ფასები.

მარაგების საკარანტიო ანარიცხი

მარაგების გაუფასურების რეზერვი იქმნება ძნელად რეალიზებადი მარაგებისთვის, რომელთა ჩამონათვალშიც შედის როგორც ნედლეული და მაკომპლექტებელი ნაწილები, ისე მზა პროდუქცია, რომლებიც მენეჯმენტის მოსაზრებით მათი ბუნებიდან გამომდინარე წარმოებაში ნაკლებად გამოიყენება ან ავეჯი, რომელთა დასამზადებლაც საჭიროა მოცემული მარაგები აღარ იწარმოება საწარმოს მიერ. მარაგების გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების განსაზღვრა ეყრდნობა დაშვებებს მზა პროდუქტზე, მაკომპლექტებელ ნაწილებსა და დამოუკიდებელ ნაწილებზე არსებულ სამომავლო მოთხოვნაზე მომხმარებლის მხრიდან, შესაბამისად, რეალური მოთხოვნა მათზე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის არსებული შეფასებიდან მომხმარებლების გადაწყვეტილების ცვლილების პარალელურად. (იხილეთ შენიშვნა 5-ში).

17.2 სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული დაშვებები

შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მომავალ მოვლენებზე მოლოდინების ჩათვლით, რაც სარწმუნოა, რომ გონივრულია გარემოებების გათვალისწინებით.

18 ფინანსური ინსტრუმენტები

18.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.6-ში.

18.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	776,542	371,282
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	764,491	1,115,797
მთლიანი ფინანსური აქტივები	1,541,033	1,487,079

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სესხები	2,118,948	2,055,536
საიჯარო ვალდებულებები	1,062,174	1,302,541
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,868,819	1,200,217
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	5,049,941	4,558,294

19 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

b) უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობების რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში და ევროში.

ფინანსური ანგარიშგების ასხნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ერთეული 2023 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	269,594
ფული და საბანკო ანგარიშები	1,093	371
	<u>1,093</u>	<u>269,965</u>
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	524,362	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	630,340	33,252
საიჯარო ვალდებულებები	946,546	-
	<u>2,101,248</u>	<u>33,252</u>
წმინდა პოზიცია	(2,100,155)	236,713

ერთეული 2022 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	3,479,079
საიჯარო მოთხოვნები	56,256	-
	<u>56,256</u>	<u>3,479,079</u>
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	1,212,807	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26,036	407,509
საიჯარო ვალდებულებები	1,218,044	-
	<u>2,456,887</u>	<u>407,509</u>
წმინდა პოზიცია	(2,400,631)	3,071,570

ცხრილი ასახავს დოლარის და ევროს მიმართ ლარის 15% (2022: 15%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2022: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ვალუტებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2022: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 15% ით (2022: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2023	2022	2023	2022
მოგება/ზარალი	(315,023)	(360,095)	35,507	460,736

სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია, რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს სავალუტო რისკის პოზიციას.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. კომპანიის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების შერევით.

შემდეგი ცხრილი მოიცავს საშუალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

2023	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
სესხები ბანკში		
ლარი	12.50%	15.02%
დოლარი	8.00%	8.29%

2022	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
სესხები ბანკში		
ლარი	11.00%	14.69%
დოლარი	8.00%	8.31%

c) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება წარმოდგენილია შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებით:

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	776,542	371,282
ფული საბანკო ანგარიშზე	729,635	1,115,797
	1,506,177	1,487,079

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ისინი შეასრულებენ სესხის დაფარვასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას და არ არსებობს ამ აქტივის გაუფასურების ფაქტობრივი მნიშვნელოვანი რისკი.

საკრედიტო რისკი ფულადი სახსრებისა და ეკვივალენტებისათვის ითვლება უმნიშვნელოდ, რადგან კონტრაგენტები არიან რეპუტაციის მქონე ბანკები.

d) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივარტული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილი იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

2023 ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებუ ლება	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		14.40%	13.73%	10.40%	
6 თვეზე ნაკლები	1,868,819	322,345	215,372	385,373	2,791,910
6 თვიდან 1 წლამდე	364,619	279,649	215,372	402,935	1,262,574
1-5 წლამდე	-	656,894	110,265	961,606	1,728,766
5 წელზე მეტი	-	-	-	-	-
	2,233,438	1,258,888	541,009	1,749,914	5,783,250

2022 ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური იჯარის ვალდებულე ბა	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		14.34%	14.97%	8.31%	
6 თვეზე ნაკლები	1,277,179	284,909	215,372	212,556	1,990,016
6 თვიდან 1 წლამდე	-	271,399	215,372	212,556	699,327
1-5 წლამდე	-	1,089,930	538,429	956,030	2,584,389
5 წელზე მეტი	-	-	-	-	-
	1,277,179	1,646,238	969,173	1,381,142	5,273,732

ლიკვიდურობის რისკის შეფასებით და მართვით კომპანია საზღვრავს მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან. კომპანიის ფულის რესურსი და სავაჭრო მოთხოვნები აჭარბებს მიმდინარე ფულის გადინების მოთხოვნებს.

20 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აქციონერებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება მფლობელთა კაპიტალისგან, რომელიც თავის თავში მოიცავს რეზერვებს და აკუმულირებულ მოგებას.

მენეჯმენტი მუდმივად აფასებს კომპანიის კაპიტალის საჭიროებას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე (ზედმეტი/გადაჭარბებული ლევერიჯი). ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი მესაკუთრეებს, გამოუშვას ახალი აქციები, აიღოს ახალი სესხები ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

თანხები, რომლებსაც კომპანია განიხილავს სამართავ კაპიტალად წლის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	5,785,848	8,670,510
გამოკლებული: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშზე	(764,491)	(1,115,797)
კაპიტალი	5,021,357	7,554,713
მთლიანი კაპიტალი	5,785,848	8,670,510
სესხები	2,118,948	2,055,536
იჯარა	1,062,174	1,302,541
საერთო დაფინანსება	8,966,970	12,028,587
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.56	0.63

21 გაუთვალისწინებელი გარემოებები

21.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპზე დაზღვეული აქვს ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის ფარგლებში დაზღვეულია მესამე პირების მიმართ პასუხისმგებლობაც. კომპანიას ასევე დაზღვეული აქვს უძრავი ქონება. კომპანია აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საწყობის და მარაგების დაზღვევის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

21.2 გადასახადები

გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

21.3 გარემოს დაცვა

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები.

ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

22 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

კომპანიის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ლარი	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	ფინანსური იჯარა	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	2,230,194	651,454	1,263,181	4,144,828
ფულადი ნაკადების მოძრაობა:				
გადახდა	(313,330)	(709,948)	(437,768)	(1,461,046)
შემოსვლა	-	-	-	-
არაფულადი ცვლილებები:				
იჯარის აღიარება	-	-	1,323,437	1,323,437
დარიცხული პროცენტი	248,821	122,188	114,052	485,061
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან	(110,150)	(63,693)	(30,932)	(204,775)
რეკლასიფიკაცია	(676,969)	676,969	(410,087)	(410,087)
საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა	-	-	(519,342)	(519,342)
2022 წლის 31 დეკემბერი	1,378,566	676,970	1,302,541	3,358,077
ფულადი ნაკადების მოძრაობა:				
გადახდა	(81,252)	(1,109,918)	(586,977)	(1,778,147)
შემოსვლა	748,880	230,572	-	979,452
არაფულადი ცვლილებები:				
იჯარის აღიარება	-	-	181,986	181,986
დარიცხული პროცენტი	78,053	209,673	173,167	460,893
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან	(5,300)	(7,296)	(8,543)	(21,139)
რეკლასიფიკაცია	(1,117,181)	1,117,181	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	1,001,766	1,117,182	1,062,174	3,181,122

23 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის ხელმძღვანელობა.

23.1 საკონტროლო ურთიერთობები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აკონტროლებს ეიშად აბასოვი, რომელიც ფლობს კომპანიის აქციათა 100%-იან წილს.

ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

23.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ტრანზაქციები		
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან		
საქონლის რეალიზაცია	159,974	-
მარაგებისა და მზა პროდუქციის შესყიდვა	(2,172,416)	(984,360)
დივიდენდების დაფარვა	(3,388,832)	-
სხვა სერვისების შეძენა	(128,172)	-

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაშთები		
დაკავშირებული მხარეების ნაშთები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	34,959	295,765
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(735,542)	(252,008)

23.3 ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები:

ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	158,000	135,993



მმართველობის ანგარიშგება

შპს ემბავუდ ჯორჯია

სარჩევი

კომპანიის შესახებ	35
საქმიანობის მიმოხილვა	35
კომპანია „ემბავუდ ჯორჯია“-ს პოლიტიკა	35
ჩატარებული კვლევები	42
ფინანსური მაჩვენებლები	43

კომპანიის შესახებ

შპს ემბავუდ ჯორჯია (შემდგომში “კომპანია”) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 1999 წლის 15 ნოემბრიდან. კომპანია ახორციელებს საქმიანობას შემდეგ მისამართზე: მარნეულის ქუჩა #37, თბილისი, საქართველო.

2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

აქციონერი	წილი %
ელშად აბბასოვ (აზერბაიჯანის მოქალაქე)	100%

კომპანიის საქმიანობა მოიცავს ავეჯის წარმოებას და გაყიდვას. კომპანიის გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება საქართველოს ფარგლებში, თუმცა კომპანიას ასევე გააქვს ექსპორტზე თავისი საქონელი. კომპანიას აქვს წარმოების ორი ობიექტი- თბილისსა და გარდაბანში.

საქმიანობის მიმოხილვა

წარმოდგენილ დოკუმენტში ასახულია კომპანია „ემბავუდ ჯორჯია“-ს საქმიანობის საერთო სპექტრი, ძირითადი საქმიანობა, მეთოდები და პრინციპები ბიზნესის ორგანიზაციაში. კომპანია „ემბავუდ ჯორჯია“ 2006 წლიდან აწარმოებს საოჯახო ავეჯს.

საქმიანობის დასაწყისიდან ეს იყო საქართველოში ერთ-ერთი პირველი მსხვილი მწარმოებელი კომპანია, რომელმაც ავეჯის წარმოებაში სამუშაო ადგილებით დაახლოებით 300-მდე ადამიანი უზრუნველყო. დღესდღეობით მთელი საქართველოს მასშტაბით ემბავუდის წარმოებაში დასაქმებულია საშუალოდ 122 ადამიანი, ხოლო კომპანიის მთლიან ჭრილში საშუალოდ 335 თანამშრომელი. ამასთან, თანამშრომლები სტაბილურ ხელფასთან ერთად უზრუნველყოფილი არიან უფასო ცხელი საკვებით.

კომპანიას საკუთრებაში გააჩნია 83 785 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განლაგებულია ფაბრიკის კორპუსები, ძირითადი და დამხმარე წარმოებები, ასევე ერთი საკუთარი მაღაზია ქალაქ ბათუმში. დღესდღეობით კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია განლაგებულია 22 მაღაზიაში.

კომპანიის საამქროები აღჭურვილია ავეჯის წარმოებისათვის საჭირო თანამედროვე დაზგებით და მოწყობილობებით. ემბავუდის ავეჯის წარმოებაში გამოიყენება ეკოლოგიურად სუფთა ნედლეული, რომელიც შეესაბამება უახლეს ევროპულ სტანდარტებს, მაგრამ კომპანიის მთავარი რესურსს წარმოადგენს პერსონალი, რომელიც მუშაობს ჩვენი კომპანიის მთავარი პოლიტიკის პრინციპების დაცვისათვის.

კომპანია „ემბავუდ ჯორჯია“-ს პოლიტიკა

1. ბაზრის მხრიდან (კლიენტები) წამოყენებული და სასურველი მოთხოვნების სრული შესრულება და კლიენტისათვის შესაფერისი პროდუქტის (ავეჯი) მიწოდება, რომელიც პასუხობს ასეთ მოთხოვნებს.
2. უმაღლესი ხარისხის მიღწევა და მისი გაუმჯობესება ყველა შესასრულებელ სამუშაოში.
3. ყველა კლიენტისათვის, ხელმძღვანელი და სამუშაო პერსონალისათვის ხარისხის მნიშვნელობის და მისი მუდმივი გაუმჯობესების რწმენის შექმნა და უზრუნველყოფა.
4. შიდა და გარე ბაზარზე დამზადებული პროდუქციის (ავეჯი) კონკურენტუნარიანობის და მაღალი ხარისხის იმიჯის შექმნა და მუდმივი გაზრდა.
5. მომხმარებლისათვის ხარისხიანი პროდუქტის (ავეჯი) მიწოდებისათვის მართვის
6. ბაზრის არსებული სეგმენტის გაფართოება ხარისხის სრულყოფილი სისტემის შექმნის გზით.
7. ხარისხის მართვაში კლიენტების და ფირმის მომუშავეების მონაწილეობის და ცხოვრებაში გატარების მექანიზმის შექმნა.
8. კადრების მომზადების სისტემის ორგანიზაცია და მუდმივი სრულყოფა.
9. საწარმოს განყოფილებებს შორის ურთიერთკავშირის და ურთიერთქმედების შექმნა.

10. საწარმოს მართვისათვის თითოეული ელემენტის ავტომატიზაცია.
11. საწარმოს მომუშავეებს შორის მუშაობის კულტურის განვითარებისა და ფორმირებისათვის სპეციალური ღონისძიებების გატარება.
12. კანონმდებლობის და ფირმის მხრიდან სხვა აუცილებელი მოთხოვნების განხორციელება.

ჩვენი მოვალეობები

13. აუცილებელი საორგანიზაციო-მმართველობითი გარემოს შექმნა.
14. აუცილებელი ფინანსური, ტექნიკური, ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყოფა.
15. საწარმოში მაღალხარისხოვანი პროდუქციის შექმნის, გაუმჯობესებისა და შენახვისათვის ხარისხის სისტემის როლის შესაბამისად მასტიმულირებელი პოლიტიკის გატარება.
16. ხარისხის პრობლემების გადაჭრისათვის პრიორიტეტის უზრუნველყოფა.
17. ოპერატიული კონტროლის ჩატარება გადაწყვეტილებების შედეგების შესაბამისად, მიღებული ხარისხის საკითხების შესახებ.
18. ხარისხის საკითხებზე პასუხისმგებელი პირებისათვის დახმარების გაწევა და მათ საქმიანობაზე მკაცრი კონტროლი.

ჩვენი პრინციპები

პატივისცემა - ჩვენ ვიცით, რომ პატივისცემა ადამიანურ ურთიერთობებში ადამიანს აამაღლებს.

სიყვარული - ჩვენ გვჯერა, რომ სიყვარული იზრდება თუ მას უნაწილებენ.

მოთმინება - ჩვენ გვჯერა, რომ ნებისმიერი პრობლემისას სასარგებლოა მოთმინების გამოვლენა.

ეტიკეტი - ჩვენ ვაფასებთ ადამიანების ურთიერთობებში ეტიკეტის დაცვას.

სამართლიანობა - ჩვენ თვალყურს ვადევნებთ სამართლიანობას ყველანაირ ურთიერთობებში.

ნდობა - ჩვენ ვუფრთხილდებით საწარმოს რესურსებს და ვიყენებთ სასარგებლო მეთოდით ჩვენი ფირმისათვის.

გაგება - ჩვენ ვცდილობთ უპირველეს ყოვლისა გავიგოთ და შემდეგ ჩავწვდეთ.

კეთილგანწყობა - კეთილგანწყობა სამუშაო ერთობაა ადამიანებს შორის მიზნების მისაღწევად.

ჩვენი ფასეულობები

- მომუშავეებთან, კლიენტებთან, შემსყიდველებთან, აქციონერებთან და საზოგადოებასთან პრინციპების და ფასეულობების ჩარჩოებში ჩვენ ერთ ოჯახს წარმოვადგენთ.
- ვაფასებთა რა მიღწევებს კორპორატიული სულის ჩარჩოებში, ვცდილობთ არ დაუშვათ პრობლემის წარმოქმნა და გადაჭრათ შესაძლო პრობლემები.
- ჩვენ წინააღმდეგი ვართ ჩვენი პრინციპებისათვის, ფასეულობებისათვის და ყოფისათვის ზიანის მიყენებისათვის.
- ვეწინააღმდეგებით რა ელექტრო ენერგიის, ერთი წვეთი წყლის, ქაღალდის ერთი ფურცლის და დროის ერთი წუთის უქმად გამოყენებას, ვცდილობთ შევამციროთ ჩვენი დანახარჯები.
- დროულად და წარმატებით ვაწარმოებთ შედგენილი პროექტების რეალიზაციას, არ გვეშინია სიძნელების და მხარს ვუჭერთ ერთმანეთს.
- ჩვენი თანამდებობისგან დამოუკიდებლად, წარმოვადგენთ ფირმის და სამუშაოს მფლობელებს, ვმოქმედებთ წესრიგის და პასუხისმგებლობის შეგნებით.
- ვიმყოფებით რა მდგომარეობაში, რომელიც მოითხოვს პასუხისმგებლობას, ჩვენ ვასრულებთ მოვალეობებს, მჭიდროდ ვეცნობით პრობლემას, ვიკვლევთ მას დამოუკიდებელი და ახალი იდეური მიდგომის დახმარებით და ვპოულობთ პრაქტიკულ და ზუსტ გადაწყვეტილებას.
- ველოდებით რა ბევრს ერთმანეთისაგან, ჩვენ ავაშენებთ ერთმანეთთან პატიოსან, პატივისცემ, მოკრძალებულ და ახლო ურთიერთობებს, გავაერთიანებთ ჩვენს შესაძლებლობებს და მისწრაფებებს.
- განვახორციელებთ ინვესტიციებს საზოგადოების და მომავალი თაობებისადმი მოვალეობის მოსახდელად.
- მივიღებთ რა განათლებას და ავითვისებთ რა სამუშაოს ჩვენთვის გამოყოფილ ნაწილს,

- გამოვავლენთ მიუკერძოებლობას, სწავლის სურვილს და ვასწავლით ყველას ჩვენს კავშირებში.
- შეუპოვრობა, ცოდნის დონე და სიბეჯითე მიგვიყვანს წარმატებამდე, რომელიც ჩვენს საერთო მიზანს წარმოადგენს.

კომპანიის საკადრო პოლიტიკა

1.1. მუდმივად განვითარებადი კომპანია „ემბავუდ ჯორჯია“ ეფუძნება მის კოლექტივში შემოსულ თითოეულ პიროვნებასთან ხანგრძლივი თანამშრომლობის პრინციპებს.

1.2. მომუშავეთათვის მთავარ პირობას წარმოადგენს მაქსიმალურად ეფექტური სამუშაო, კომპანიის ინტერესების როგორც საკუთარი ინტერესების შეფასება, მიღწეული წარმატებებიდან უფრო მეტი წარმატებების მიღწევისადმი სწრაფვა.

1.3. კომპანიის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს ღია კარის დღის პოლიტიკას საკუთარი თანამშრომლებისათვის. თანამშრომლებს შეუძლიათ მიმართონ ხელმძღვანელობას თხოვნებით და წინადადებებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან კანონმდებლობას და კომპანიის შინა განაწესს.

1.4. კომპანიის ხელმძღვანელებმა და სხვა თანამშრომლებმა უნდა მოუსმინონ თითოეულ თანამშრომელს და ამისათვის გამოავლინონ შესაბამისი დამოკიდებულება.

კლიენტებთან თანამშრომლობის პრინციპები

2.1. კლიენტების მომსახურება კომპანია „ემბავუდ ჯორჯია“-სათვის წარმოადგენს მთავარ მოვალეობას, ამ მიზნით მომუშავეები თითოეულ კლიენტს უნდა მოემსახურონ მაღალ დონეზე.

2.2. კარგი დამოკიდებულება კომპანია-პარტნიორებისადმი, მათთვის უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობების შექმნა წარმოადგენს ხანგრძლივი თანამშრომლობითი ურთიერთობების უზრუნველყოფას.

2.3. კომპანიის სტუმრებს უნდა ხვდებოდნენ გულთბილად და პატივისცემით, თუ ადგილზე არ არის სპეციალისტი, რომელსაც უნდა შეხვდეს სტუმარი, მაშინ მომუშავეები ვალდებული არიან დეტალურად მიაწოდონ მას ინფორმაცია და გააგზავნონ ის სხვა შესაბამის სპეციალისტთან.

2.4. კლიენტების ნელ და უხარისხო მომსახურებაზე პასუხს აგებს მომსახურების გამწვევი ქვედანაყოფის უშუალო ხელმძღვანელი.

შრომითი ურთიერთობების რეგულირება

კომპანიაში მიღების და განთავსების საქმიანობა შედგება 3 (სამი) ეტაპისაგან:

- კანდიდატების მოძიება
- კანდიდატების შერჩევა
- ახალი მომუშავეების განთავსება

უფლებები და მოვალეობები

4.0 მომუშავის უფლებები:

4.0.1. გაეცნოს შესაბამის ნორმატიულ ორგანოებს;

4.0.2. გაეცნოს უსაფრთხოების წესებს;

4.0.3. განიხილოს პერსონალის მართვის განყოფილებასთან სამუშაო ფუნქციების შესრულება, ასევე სხვა რაიმე პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია პირად საქმეებთან;

4.0.4. ადამიანური რესურსების განყოფილებას ზეპირი ან წერილობითი ფორმით აცნობოს სამუშაო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებულ წინადადებებსა, პრეტენზიებსა და საჩივრებზე (მოცემულ შემთხვევაში საკითხები უპირველეს ყოვლისა გამოკვლეული იქნება მომუშავის ხელმძღვანელის მიერ მისი მონაწილეობით);

4.0.5. მომუშავის წინადადებები, პრეტენზიები და საჩივრები, რომელიც არ არის თანახმა

პირველადი კვლევის შედეგებთან, გამოიკვლევა მისი უშუალო ხელმძღვანელის, ხარისხის წარმომადგენლის, ფაბრიკის ხელმძღვანელის და პერსონალის მართვის განყოფილების მიერ კომისიის ფორმით და ამის შემდეგ მიიღება სამართლიანი გადაწყვეტილება;

4.0.6. თუ ხელმძღვანელის დავალება ეწინააღმდეგება შრომით კანონმდებლობას, შრომით ხელშეკრულებას, შიდა განაწესის წესებს და დირექტორის სხვა ბრძანებებს, განკარგულებებს, ინსტრუქციებს და წესებს ან შეუძლია ზიანი მიაყენოს თავად მომუშავეს ან სხვა მომუშავეებს, წარმოებას, გარემოს, მომუშავემ წერილობითი ფორმით უნდა მოითხოვოს მოცემული დავალების შესრულება ან გადასცეს ამ დავალების ეგზემპლარი დირექტორს.

4.0.7. მოითხოვის სამუშაო ადგილზე შრომის დაცვის პირობების შესაბამისობა სტანდარტულ ნორმებთან, ინფორმაცია ინდივიდუალური დაცვის შესახებ, შედავათებზე და დახმარებებზე და მათი უზრუნველყოფა;

4.0.8. მიიღოს ინფორმაცია და რჩევები შრომით კანონმდებლობაზე, შრომით ხელშეკრულებაზე, შიდა განაწესის წესებზე, დირექტორის სხვა ბრძანებებზე, განკარგულებებზე, ინსტრუქციებსა და წესებზე და დაიცვას მათი საიდუმლოება.

4.2. მომუშავის მოვალეობები

4.2.1. ჯეროვნად შეასრულოს საკუთარი შრომითი ფუნქციები;

4.2.2. იყოს თავაზიანი კომპანიის სხვა მომუშავეების მიმართ;

4.2.3. იზრუნოს ორგანიზაციის მისიების და მიზნების განხორციელებაზე;

4.2.4. მუდმივად იფიქროს კომპანიის პრესტიჟის და საქმიანი იმიჯის ამაღლებაზე

4.2.5. იზრუნოს შესასრულებელი სამუშაოს ხარისხის ამაღლებაზე;

4.2.6. დროულად შეასრულოს ხელმძღვანელობის მითითებები;

4.2.7. დროულად აცნობოს თავის ხელმძღვანელობას დაგეგმილი საქმის შეუსრულებლობის შესახებ;

4.2.8. დაიცვას შრომითი კანონმდებლობის, შრომითი ხელშეკრულების და ყველა ნორმატიული წესების მოთხოვნები;

4.2.9. არ დაუშვას ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ზიანს მიაყენებს კომპანიის ინტერესებს;

4.2.10. სამუშაო დროის მანძილზე, სამუშაო ადგილზე არ აწარმოოს ისეთი საქმეები, რომლებიც უშუალოდ არ ეხება მის შრომით ფუნქციებს (პირადი საქმეები) და არ მიიღოს პირადი სარგებელი.

4.2.11. სამუშაო საათების განმავლობაში სრულყოს საკუთარი შრომითი უნარ-ჩვევები, ცოდნა, პრაქტიკა, უცხო ენა მხოლოდ კომპანიის მიერ დადგენილი პროგრამის ჩარჩოებში.

4.2.12. დაიცვას ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, კომერციულ, სტატისტიკურ, ტექნოლოგიურ, მარკეტინგულ, სარეკლამო და სხვა გადახდებთან, საინფორმაციო შენიშვნებთან, ჩანაწერებთან და სხვა ინფორმაციასთან, რომლებიც შეეხება კომპანიის სტრატეგიულ ბიზნეს გეგმებს და საქმიან ინტერესებს;

4.2.13. სამუშაოს პერიოდში იყოს პასუხისმგებელი კომპანიის ქონებაზე, რომელიც გადაეცა მომუშავეს სარგებლობაში და გამოიყენოს ის დანიშნულებისამებრ.

4.2.14. შეასრულოს კომპანიის შიგნით მიღებული ყველა ბრძანებები, განკარგულებები, წესები, ინსტრუქციები და სხვა დოკუმენტები.

4.2.15. კომპანიის შიგნით ინფორმაციის გაცვლის ზუსტი უზრუნველყოფისათვის მიმოწერა აწარმოოს მხოლოდ ელექტრონული ფოსტა outlook-ის მეშვეობით. ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფის მიზნით ელექტრონული ფოსტა outlook უნდა მოწმდებოდეს ყოველი 15 წუთის განმავლობაში. მომუშავეები, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი ელექტრონული ინფორმაციის გაცვლით, უნდა იქნან უზრუნველყოფილი ინფორმაციით მომუშავის უშუალო ხელმძღვანელისაგან.

4.2.16. მიღება-ჩაბარების ფორმის მიხედვით სამუშაო ხელშეკრულების შეწყვეტისას, ჩააბაროს ყველა დოკუმენტი, ელექტრონული მასალები და სხვა ქონება, რომელიც კომპანიას ეკუთვნის;

4.2.17. თუ მომუშავე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ არ უბრუნებს კომპანიას მის

ქონებას, მაშინ მომუშავესთან აწარმოებენ საბოლოო ანგარიშსწორებებს და მასზე არ გაიცემა შრომითი წიგნაკი.

4.2.18. კომპანიას შეუძლია გამოქვითოს საბოლოო ანგარიშსწორებებიდან იმ ქონების საფასური, რომელიც მომუშავემ არ დაუბრუნა კომპანიას.

4.2.19. მომუშავის მიერ შრომითი კანონმდებლობის პირობების, შინა განაწესის წესების დარღვევისას ან დამსაქმებლის ქონებისადმი ზიანის მიყენებისას, მომუშავე პასუხს აგებს სამუშაო კოდექსის, სამუშაო ხელშეკრულების და შინა განაწესის 20 მუხლის თანახმად.

4.2.20. მუსიკის მოსმენა მუშაობის დროს ყურსასმენების გამოყენებით.

კარიერის მიმართულება


7.1. მომუშავის თანამდებობის ან პროფესიის შეცვალა ხორციელდება თანამდებობის/პროფესიის ფორმის თანახმად.

7.2. კომპანიის შიგნით ცენტრალიზებული კარიერის მიმართულება ხორციელდება მომუშავეების საქმიანობების მიმართულებაზე დაკვირვებით მუდმივად აღმავალი და დაღმავალი ხაზის მიხედვით.

7.3. კარიერის მიმართულება ხორციელდება მომუშავეების წარმატებების და წარუმატებლობების ინფორმაციის შეგროვების და შენახვის ფორმით (დავალებების თანადროული და სწორი შესრულება, სამუშაოზე დაგვიანება, განაწესის წესების დარღვევა) ჩვენს კომპანიაში მათი სწავლების პროცესში, წინა სამუშაო ადგილებზე.

7.4. კარიერის მიმართულება გულისხმობს უფრო პოტენციალური, ასევე დისციპლინირებული მომუშავეების გამოვლენას და შიდა რესურსების გამოყენებას თანამდებობაზე მომავალი წინსვლისათვის.

„ემბავუდ ჯორჯიას“ საორგანიზაციო სტრუქტურა



კომპანიის საქმიანობის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს ავეჯის წარმოება, ამიტომ მის ორგანიზაციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოდელის იდეის ჩანერგვას მისი მომხმარებლისათვის მიწოდებამდე:

1.წარმოება

წარმოების პროცესის მართვა მოიცავს:

- დაგეგმარება;
- წარმოების მომზადება;
- წარმოება;
- წარმოების პროცესში პროდუქციის იდენტიფიკაცია;
- კონტროლის განხორციელება, რომელიც შედგება პროდუქციის მისაღები, საოპერაციო და მზა პროდუქციის კონტროლისაგან.

შპს „ემბავუდ ჯორჯია“ ახორციელებს ღებების, რბილი ავეჯის და პანელური ავეჯის წარმოებას.

1.1 წარმოების დაგეგმარება

ჩვენი ორგანიზაციის დაგეგმარება დაყოფილია ორ ეტაპად: სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმარება. პროცესის ფარგლებში პასუხისმგებლობების განაწილება :

ამოცანა	რეგიონალური წარმომადგენლობის დირექტორი	მარკეტინგის განყოფილების უფროსი	გაყიდვების განყოფილების უფროსი	დაგეგმარების განყოფილების უფროსი
პროგნოზის მიღება დისტრიბუტორისაგან	პ			
გაყიდვების პროგნოზის მომზადება	პ	უ	უ	
საწყობებში მარაგების შემოწმება				პ
წარმოების აქსესუარების წლიური დაგეგმარება				პ

*პ - პასუხისმგებელი

*უ - უფლებამოსილი

1.2 სტრატეგიული დაგეგმარება

გაყიდვების დაგეგმარება წარმოებს მარკეტინგის და გაყიდვების სამსახურების მიერ, რეალიზაციის განცხადებული პროგნოზის და ადგილობრივი და საგარეო დისტრიბუტორებისაგან მიღებული შეკვეთების საფუძველზე.

გაყიდვების დაგეგმარებაში გაითვალისწინება როგორც არსებული მოთხოვნები, ასევე მოთხოვნები პოტენციური დისტრიბუტორებისაგან/სავაჭრო ობიექტებისაგან.

გაყიდვების გეგმა კონტროლირდება განსაზღვრული მოდელების შესაბამისად.

გაყიდვების მზა გეგმის მოსამზადებლად გათვალისწინებულია კომპანიის კორპორატიული მიზნები.

გაყიდვების გეგმა მომზადებული რეგიონალური წარმომადგენლის მიერ განიხილება და მტკიცდება სათაო ოფისის მიერ.

წარმოების დაგეგმარებისას, დაგეგმარების სამსახური ამოწმებს მზა პროდუქციის მარაგს საწყობში და განსაზღვრავს პროდუქციის მოცულობას, რომელიც უნდა იქნას წარმოებული.

დაგეგმარების განყოფილება ღებულობს წარმოების წლიურ გეგმას, რომელიც დამტკიცებულია შპს „ემბავუდ ჯორჯია“-ს სათაო ოფისის მიერ.

1.3 ოპერაციული საქმიანობის დაგეგმარება.

დაგეგმარების განყოფილების მიერ მონაცემების მიღება ხდება კოორდინაციის განყოფილებიდან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მიეთითება პრიორიტეტული მოდელები/შეკვეთები.

მონაცემთა ბაზა საწყობის მარაგების მიხედვით კონტროლირდება და შეივსება დაგეგმარების განყოფილების მიერ.

შეკვეთების ანალიზისას გაითვალისწინება მარაგები საწყობში, მინიმალური მოცულობა ეფექტური წარმოებისათვის, მინიმალური მარაგები.

წარმოების დაგეგმარება ხორციელდება მოდელების და საამქროების მიხედვით. წარმოების დაგეგმარების პროცესში გაითვალისწინება მოდელების დამზადების სირთულე და საამქროების მწარმოებლობა.

თითოეული დამტკიცებული მოდელისათვის განისაზღვრება ნედლეულის აუცილებელი რაოდენობა და თუ აუცილებელი მოცულობის მარაგი არ არის, განისაზღვრება აუცილებელი მასალების ჩამონათვალი. განისაზღვრება პრიორიტეტული მასალების ჩამონათვალი, რომელთა შესყიდვა აუცილებელია უმოკლეს ვადებში.

დაწვრილებით დაგეგმარების პროცესის შესახებ იხილეთ PD-07 „დაგეგმარების პროცედურა“.

1.4 პროდუქციის ახალი მოდელების შემუშავება

ბაზარზე არსებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, შპს „ემბავუდ ჯორჯია“ მუდმივად ახორციელებს პროდუქციის ასორტიმენტის განახლებას და პროდუქციის ახალი მოდელების შემუშავებას. ბაზრის ანალიზის და კვლევის საფუძველზე, მარკეტინგის განყოფილება აკეთებს წერილობით განაცხადს ახალი მოდელის შემუშავებაზე. მოცემული განაცხადი, რომელიც მოიცავს შესამუშავებელი მოდელის კლასს, სავარაუდო ღირებულებას და ფუნქციონალურ დახასიათებებს, განიხილება შეფასების ჯგუფის მიერ და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროექტირების და შემუშავების სამსახური, ჰოლდინგში დანერგილი პროცედურის შესაბამისად, იწყებს ახალ მოდელზე მუშაობას ან ცვლილებების შეტანას უკვე არსებულ მოდელში.

1.6 პროდუქციის წარმოება

საპანელო პროდუქციის წარმოება ხორციელდება ორგანიზაციის მიერ დადგენილი ტექნიკური-ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმარების სამსახურის მიერ მომზადებული დავალების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს პროდუქციის ასორტიმენტს დამზადებისათვის, მის რაოდენობას და ვადებს.

მიღებული დავალების შესრულება კონტროლირდება საამქროს უფროსის მიერ, რომელიც ანაწილებს დავალებას უბნების მიხედვით, თითოეულ პროდუქციაზე ტექნოლოგიური (სამარშრუტო) რუკის შესაბამისად. წარმოების პროცესში გამოიყენება მხოლოდ ისეთი ნედლეული, რომელსაც გააჩნია ხარისხის მოწმობა, გაცემული კომპეტენტური ორგანოს მიერ და შემოწმებული შპს „ემბავუდ ჯორჯია“-ს ხარისხის სამსახურის მიერ. პროდუქციის წარმოება შედგება შემდეგი ეტაპებისაგან :

- დავალების მიღება;
- წარმოების მომზადება;
- წარმოება;
- კონტროლი;
- მონტაჟი (პანელური ავეჯის შემთხვევაში)
- შეფუთვა;
- დასაწყობება;

ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოება შპს „ემბავუდ ჯორჯია“-ში

„ემბავუდ ჯორჯიაში“ პირადი შემადგენლობა მუდმივად ეცნობა სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკური უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

ყოველ წელს ტარდება ცეცხლმქრობების თავიდან შევსება. ტარდება პირადი შემადგენლობის ტრენინგი საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. მუშები უზრუნველყოფილი არიან დამცავი სათვალეებით და ფორმის ტანსაცმლით.

ჩატარებული ინსტრუქტაჟი დასტურდება პირადი ხელმოწერებით, რომელიც წარმოებს სპეციალურ ჟურნალში.

საწარმოო ტერიტორია, ადმინისტრაცია, საამქროები და საწყობები უზრუნველყოფილი არიან ევაკუაციის გეგმით. ტერიტორიაზე მითითებულია ხალხის შეკრების ადგილი საგანგებო მდგომარეობის დროს.

ასევე ტარდება ოპერატორების ტექნიკური ინსტრუქტაჟი, რომლებიც მუშაობენ დაზგებთან, კერძოდ მუშაობის დროს არ უნდა მოადუნონ ყურადღება, უნდა ატარონ დამცავი სათვალეები და სამუშაო შეასრულონ ყურადღებით. საგანგებო სიტუაციის დროს უნდა გამორთონ დაზგები ელექტროენერგიისაგან და იმოქმედონ ინსტრუქციის შესაბამისად. სამუშაოს შემდეგ უნდა გასუფთავდეს დაზგის ტერიტორია, დაზგა უნდა გამოირთოს ელექტროენერგიისაგან.

ჩატარებულია სიგნალიზაციის სისტემა, ის ნორმალურად მუშაობს.

საამქროებში გამათბობელი და სავენტილაციო სისტემები იმყოფებიან მუშა მდგომარეობაში. დაზგები განლაგებულია ისეთნაირად, რომ არ უშლის ხელს მომუშავეების მოძრაობას.

საამქროებში ჰაერის ტემპერატურა იცვლება სეზონის მოთხოვნილების მიხედვით.

საამქროებში, საწყობებში და აგრეთვე ფაბრიკის ტერიტორიაზე დაცულია სისუფთავე.

საწარმოო პროცედურები და პასუხისმგებლობა ოპერატორებისათვის, რომლებიც მუშაობენ თითოეულ კონკრეტულ დაზგაზე, რეგლამენტირდება შესაბამისი ინსტრუქციების მეშვეობით, რომლებიც შემუშავებული იქნება მთავარი ტექნოლოგის მიერ და მტკიცდება შპს „ემბავუდ ჰოლდინგ“-ის მიერ.

პროდუქციის დამზადების თითოეული პროცესი ექვემდებარება მონიტორინგს, რომელიც ხორციელდება საწარმოო მონაკვეთების ხელმძღვანელების მიერ.

წარმოების პროცესის თითოეულ ეტაპზე წარმოებს ხარისხის კონტროლი, რომლის შედეგები წერილობითი სახით რეგისტრირდება საკონტროლო ფურცელზე.

„ემბავუდ ჯორჯია“-ს საწარმოო მაჩვენებლები

ემბავუდ ჯორჯია	ერთეული	2023	2022	2021	2020
საოჯახო ავეჯის წარმოება	კვ.მ	115,615	147,186	165,500	123,884
რბილი ავეჯის წარმოება	კომპლექტი	5,892	4,976	5,648	4,716,6
მელამინური ფილების წარმოება	ცალი	23,256	5,181	5,960	10,695
ნახევარფაბრიკატების წარმოება	კვ.მ	5,525	4,210	8,785	9819,6
ლეიბების წარმოება	ცალი	4,777	3,395	3,963	3,809

ჩატარებული კვლევები

ასეთ პირობებში ჩვენი კომპანიის მთავარი ამოცანაა კონკურენტული ბრძოლის გაძლიერება პოტენციური მყიდველისათვის. ამ მიზნებისათვის კომპანია გამოყოფს 0,5 მილიონ ლარამდე თანხას წელიწადში მარკეტინგული კვლევებისა და ჩვენი პროდუქციის რეკლამისათვის. ბაზრის გამოკვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში ჩვენი მთავარი კონკურენტები კომპანიები : USK,MOBBLER,KOMFORTER,GORGIA,SABA da MODUSI

ეს კომპანიები პრიორიტეტულად მუშაობენ დიდ ქალაქებში და მისი წილი რეგიონალურ ბაზარზე გაცილებით დაბალია, ჩვენი კომპანია გაყიდვების დიდ წილს ახორციელებს რეგიონალური ბაზრების ხარჯზე და ამიტომ ვითვალისწინებთ რა რეგიონების მოსახლეობის გადახდისუნარიანობას, ჩვენ არ შეგვიძლია გავზარდოთ პროდუქციის ღირებულება, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს კომპანიის რენტაბელობაზე, ვინაიდან ავეჯის წარმოებისათვის საჭირო მასალის და ნაკრები ღირებულების 90% იმპორტულია.

ბრენდი “EMBAWOOD” წარმოდგენილია 22 მაღაზიით მთელ საქართველოში. საერთო ფართი ყველა მაღაზიების 17,980 მ2. არსებობს 5 რეგიონალური საწყობი, საიდანაც ხდება პროდუქციის მიწოდება მაღაზიებში.

მაღაზიები	რეგიონი თბილისი	რეგიონი ქუთაისი	რეგიონი აჭარა	რეგიონი კახეთი	რეგიონი ხაშური
თბილისი(5)	*				
მარნეული	*				
რუსთავი	*				
ქუთაისი		*			
ზესტაფონი		*			
მარტვილი		*			
ბათუმი (2)			*		
ოზურგეთი			*		
ფოთი			*		
გურჯაანი				*	

თელავი				*	
დედოფლისწყარო				*	
წნორი				*	
საგარეჯო				*	
კვარელი				*	
ხაშური					*
გორი					*
ბაკურიანი					*
ახალწიხე					*

კომპანია „ემბავუდ ჯორჯია“ მუშაობდა საქართველოს ყველა რეგიონში დისტრიბუტორული ქსელის მეშვეობით. ჩვენს კომპანიასთან თანამშრომლობდა ხუთი ძირითადი დისტრიბუტორი. 2023 წელს ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, ჩვენ დავიწყეთ მაღაზიებში მუშაობა შუამავლების გარეშე.

„ემბავუდ ჯორჯიას“ კომერციული მაჩვენებელი

ნებისმიერ პირობებში ჩვენი კომპანიის მთავარი ამოცანაა ბრძოლა გაძლიერებულ კონკურენციასთან პოტენციური მყიდველისთვის. ამ მიზნებისათვის, კომპანია გამოყოფს წელიწადში 0,5 მილიონ ლარს, ჩვენი პროდუქციის მარკეტინგული კვლევისა და რეკლამირებისთვის. საბაზრო კვლევამ აჩვენა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში, ავეჯის ბაზარზე კონკურენტების რაოდენობა გაიზარდა საშუალო და საშუალოზე მაღალი ფასების სეგმენტში. ეს კონკრეტული ფაქტი ავალდებულებს ავეჯის ყველა ბრენდს, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოს ავეჯის ბაზარზე, რომ ყურადღება გაამახვილონ ხარისხზე, ხელმისაწვდომ ფასად და, რაც მთავარია, ინოვაციური დიზაინის გადაწყვეტილებებზე. „embawood georgia“-ს ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტები ფასების სეგმენტში არიან ისეთი კომპანიები, როგორებიცაა „USK“, „Mobler“, „Comfortor“, „Gorgia“, „TD Saba“, „Modus“, „Pancilion“ და საშუალო ზომის ავეჯის იმპორტიორები. მაგრამ საქართველოს ავეჯის ბაზარს ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი, რადგან სამომხმარებლო კულტურა ავეჯის სექტორში ჯერ კიდევ არ არის სრულად განვითარებული, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომპანიას, მათ შორის ჩვენს, ეს არის ჩვენთვის მთავარი მოტივატორი, შეიმუშაოს ყველა მათი ინდიკატორი, რომ მიაღწიოს უფრო მეტს არსებულ ბაზარზე.

ბოლო 2-6 წლის განმავლობაში, ისეთი ბრენდების, როგორიცაა „USK“, „Mobler“, „Comfortor“ და „Modus“- ის ბაზარზე შესვლის გამო, „Embawood Georgia“-ს გაყიდვების მაჩვენებლები დაეცა. 2023 წელს ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი პოზიციების აღდგენა და მზარდი ტენდენციით შევედით ჩვენს დისტრიბუტორებთან და დილერებთან მთელი საქართველოს მასშტაბით.

ფინანსური მაჩვენებლები

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაზე გავლენას ახდენენ როგორც საქართველოს ეკონომიკური სიტუაციის საგარეო ფაქტორები, ძირითადად, ლარის კურსის დაცემა, ასევე შიდა ფაქტორები, კერძოდ, არასაკმარისი საექსპორტო ბაზარი.

ამიტომ კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები 2023-2021 წლებში არ იყო ოპტიმისტური, მაგრამ კომპანია ცდილობს გაატაროს რიგი ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას მისცემს მას გავიდეს დადებით შედეგზე მომავალში.

ფინანსური სიტუაციის ნორმალიზების ძირითადი ღონისძიებებია - ბაზრის უფრო ღრმა ანალიზი, უფრო აგრესიული სარეკლამო პოლიტიკა და რაც მთავარია ასორტიმენტის განახლება და საფასო პოლიტიკის გადახედვა.

ემბავუდ ჯორჯიას ფინანსური მაჩვენებლები (ლარი)	2023 წელი	2022 წელი
აქტივები სულ	12,038,075	14,908,899
მიმდინარე აქტივები	8,614,306	9,522,794
გრძელვადიანი აქტივები	3,423,769	5,386,105
საწესდებო კაპიტალი	8,529,296	11,179,716
შემოსავალი	17,918,050	13,040,031
ხარჯები	5,170,453	6,766,373
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადამდე	3,154,591	2,411,307
მოგების გადასახადი	-	3,880
წმინდა მოგება (ზარალი)	3,154,591	2,415,187
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.8	2.4

ფინანსური რისკები

„ემბავუდ ჯორჯია“, ისევე როგორც სხვა კომპანიები, ხშირად ახორციელებს საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ცნება „რისკთან“ და ის მუშაობს მისი გადაჭრის გზებზე. ბანკში ანგარიშზე არსებული ფული განიცდის რისკს ფინანსური საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში, პარტნიორი ბიზნესში შესაძლოა აღმოჩნდეს თაღლითი და ორგანიზაციას მიაღება ზარალი, შტატში ჩარიცხულ მომუშავეს შესაძლოა გააჩნდეს დაბალი კომპეტენტურობა და სხვა.

ყოველივე ამან შეიძლება ნებისმიერ მომენტში მიაყენოს ზარალი ორგანიზაციას და დაემუქროს მის საქმიანობას, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია განხორციელდეს რისკების სწორი მართვა ორგანიზაციაში უკვე ჩვეულ პროცესებთან ერთად, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასთან, შესყიდვასა და გასაღებასთან.

რისკებიდან შეიძლება დასახელდეს:

- 1) ფინანსური
- 2) საოპერაციო
- 3) კომერციული

1. ფინანსური რისკები შეიცავენ რისკების შემდეგ სახეებს:

- ა) სავალუტო რისკები
- ბ) საკრედიტო რისკები
- გ) საინვესტიციო რისკები, ა.შ.

სავალუტო რისკი - ეს არის ფინანსური რისკების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ხასიათდება სავალუტო კურსის ცვალებადობით, რომელიც წარმოქმნის საწარმოს ფინანსურ დანაკარგებს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების წარმოებისას.

ამგვარად, საქონლის იმპორტირებისას, „ემბავუდ ჯორჯია“ აგებს შესაბამისი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გაზრდისას ეროვნულთან მიმართებაში. ხოლო გაცვლითი კურსის დაცემა განსაზღვრავს საწარმოს ფინანსურ წაგებას საქონლის ექსპორტირებისას.

„ემბავუდ ჯორჯია“ მიერ სავალუტო რისკების მართვის მეთოდები:

- 1) „ემბავუდ ჯორჯია“ ყიდულობს საჭირო მოცულობით ფულად ერთეულებს, რომლებთანაც მუშაობს ფირმა, მისი სავალუტო პოზიციის დასახურად, იმიტომ, რომ კომპანია აფორმებს კონტრაქტების დიდ რაოდენობას იმპორტის მხრივ.
- 2) კომპენსაცია - განიხილავს ლარის ფასების კორექტირების შესაძლებლობას ვალუტის ზრდის შესაბამისად.

საკრედიტო რისკი - ეს არის გაუთვალისწინებელი ფინანსური ზარალის წარმოქმნის ალბათობა, დაკავშირებული ვალის დაუბრუნებლობასთან მიწოდებული კრედიტის მიხედვით. ისეთი მწარმოებლურ-კომერციული საწარმოებისათვის, როგორიცაა „ემბავუდ ჯორჯია“, საკრედიტო რისკი წარმოიქმნება სასაქონლო (კომერციული) კრედიტის აღებისას.

საინვესტიციო რისკი - დაკავშირებულია ფინანსური ზარალის წარმოქმნის ალბათობასთან მიუღებელი მოგების ან კაპიტალის დაკარგვის სახით, რომელიც გამოწვეულია საინვესტიციო საქმიანობების გაურკვეველი პირობებისაგან და შესაბამისად, ამ ზარალის თავიდან აცილების შეუძლებლობა.

„ემბავუდ ჯორჯია“ მიერ საინვესტიციო რისკების მართვის მეთოდები:

საინვესტიციო პროექტის რისკების მართვა საშუალებას იძლევა თავიდან აცილებული იქნას მრავალი რისკი.

საინვესტიციო რისკების მართვა აუცილებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიის მიზნით განიხილება ძვირადღირებული წარმოების უფრო იაფფასიანით შეცვლის საკითხი და შესაბამისად, უფრო დაბალი ღირებულების ტექნოლოგიური მოწყობილობის შესყიდვა.

ოპტიმიზაციის მიზნით მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას რისკ-მენეჯმენტის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია შემდეგ წესებზე:

- არ ღირს რისკის გაწევა იმ თანხით, რომელიც აღემატება საკუთარ კაპიტალს;
- აუცილებელია მუდმივი ფიქრი რისკის შედეგებზე;
- არ ღირს გარისკვა დიდი თანხით პატარა მოგებისათვის;
- საჭიროა გვახსოვდეს, რომ ყოველთვის არსებობს პრობლემის გადაჭრის რამოდენიმე ვარიანტი და სხვა.

კომპანია „ემბავუდ ჯორჯია“ ხვალ

2023 წლის მთავარი მიზნები

გვჯერა, რომ 2024 წელი იქნება აღდგენის წელი მთელი საქართველოს ეკონომიკისთვის და ქართული ავეჯის ბაზრისთვისაც. 22 მაღაზიის რეორგანიზაცია მთელი საქართველოს მასშტაბით, კარგად მომზადებული და მოტივირებული პერსონალი და განახლებული პროდუქციის პორტფელი. კომპანიამ 2023 წელს აღნიშნა 15 წლის იუბილე ქართულ ბაზარზე, 2024 წელს დაისახა მიზანად ახალი მაღაზიების გახსნა ტურისტულ რეგიონებში - ბაკურიანი, ბათუმი.

გარდა ამისა, ჩვენ ვახორციელებთ ინვესტიციას ჩვენს საწარმოო ობიექტებში, მაგიდის და სკამების წარმოებისთვის ახალი დანადგარების შეძენით. სანამ ყველა მათ უცხოეთიდან შემოვიტანდით, საჭირო ტექნიკის ამოქმედების შემდეგ ჩვენ შევიძენთ ნედლეულს და ვაწარმოებთ საქართველოში. ეს გაზრდის ჩვენი პერსონალის რაოდენობას და გაზრდის ჩვენს გაყიდვებს.

კომპანიის 2024 წლის მთავარი მიზანია სესხების სრულად დაფარვა და შიდა განვადების პროექტის განვითარება.

მიზანი: ხელვა;მარკეტინგული აქტივობა

კომპანია „ემბავუდ ჯორჯია“-ს მიზანია განსაზღვროს ის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომლითაც იხელმძღვანელებს მომავალი ერთი წლის განმავლობაში. საჭიროების პროცესის შეფასებისათვის გაიმართება სამუშაო შეხვედრები, რომელიც მიზნად ისახავს საჭიროების შეფასების შედეგებზე დაყრდნობით

სამომავლო განვითარების და კომპანიის წინსვლის სტრატეგიის განსაზღვრას და სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

კომპანიის ხედვით მომავალი წლისთვის იგეგმება:

- ❖ ორგანიზაციული განვითარება
- ❖ შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება
- ❖ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შემუშავება
- ❖ პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაღრმავება
- ❖ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება
- ❖ ფართო ასორტიმენტის პროდუქციის შეთავაზება და პორტფელის შეცვლა.
- ❖ პროდუქციის ხარისხისა და სტანდარტების შესაბამისობის მუდმივი კონტროლი.

კომპანია «ემბავუდისთვის» სწორი სტრატეგიის განსაზღვრა მარკეტინგული საქმიანობის საფუძველია. მომავალი ერთი წლის განმავლობაში კომპანია მიზნად ისახავს სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას ბრენდის მეტად პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის. მათ შორის:

- ეფექტური მარკეტინგისა და საინფორმაციო კამპანიის საშუალებით ვიზიტორების მოზიდვა მაღალ გადახდისუნარიანი ბაზრებიდან;
- კონცენტრირება დაბალ შემოსავლიან სეგმენტზე და ხელშეწყობა პროდუქციის შეძენისათვის;
- სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განახლება მიზნობრივი ბაზრების მოთხოვნისა და თავისებურებების გათვალისწინებით;
- წილისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა ბაზარზე;
- პროგრამის შექმნა გაყიდვების შემდგომი უმაღლესი ხარისხის მომსახურებისათვის;
- ინტერნეტ და სოციალური მედია საშუალებებით შინაარსზე ორიენტირებული მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ისტორიების გაზიარებითა და თემატური კამპანიების გზით;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა/განვითარება (სოციალური ქსელები, ვებ გვერდი/ვებ პორტალი და ა.შ.);
- საიტის ფუნქციონალის განვითარების სტრატეგია, საიტის SEO ოპტიმიზაცია;
- ბლოგი და კონტენტ მარკეტინგი; ინტერნეტ რეკლამირების სტრატეგია;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედია შესაძლებლობების გამოყენება;

შპს „ემბავუდ ჯორჯია“
დირექტორი



ელჩინ ბაბაშოვ

2024 წლის 22 ივლისი